ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
BATUMI NAVIGATION TEACHING UNIVERSITY

თარიღი|Date: 13.04.2021
№: 05/98

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს

ბატონო დავით,

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ 2021 წლის 17 მაისს, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას. ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კონფერენცია ჩატარდება ონლაინ-რეჟიმში. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ ელექტრონული სერტიფიკატები, ყოველ მონაწილეს გაეგზავნება კონფერენციის მოხსენებათა ელექტრონული კრებული. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო ელექტრონულ პლატფორმასა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას.

ვიწვევთ სტუდენტთა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს. დაწვრილებითი ინფორმაცია კონფერენციაზე რეგისტრაციისა და მასში მონაწილეობის შესახებ იხილეთ თანდართულ ფაილში.

კონფერენციის კოორდინატორი და საკონტაქტო პირი, ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გაბედავა უპასუხებს თქვენს დამატებით შეკითხვებს (ტელ: +995 571 71 17 18; ელ-ფოსტა: g.gabedava@bntu.edu.ge).

პატივისცემით,

რექტორი, პროფესორი: პარმენ ხვედელიძე

შპს "ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი" | 6000, ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38
Batumi Navigation Teaching University LLC | 6000, Batumi, Georgia, 38 Tamar Mephe Ave.
+995 (422) 29 25 25; 29 32 32 info@bntu.edu.ge www.bntu.edu.ge